სანოტარო აქტი

რეგისტრირებულია რეესტრში: 1-2381

ორიათას შვიდი წლის პირველ მარტს მე, ციური ბერიძეს, ქ. თბილისის ნოტარიუსს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ.№68, პირველ სართულზე, მომმართეს: ნათია წითლაურმა და. მანანა სანაძემ. ნათია წითლაურმა განაცხადა, რომ იგი წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის პრივატიზების სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარ სპეციალისტს, მოქმედებს სამინისტროს სახელით და სამინისტროს ბრძანებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში სურს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ქონებაზე – ქ. თბილისში, კოსტავას ქ. №77-ში მდებარე 731 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობაზე, ქ. თბილისში, კოსტავას ქ. №77-ში მდებარე 587 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებზე, ქ. თბილისში, კოსტავას ქ. №77-ში მდებარე 877 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობაზე, ნასყიდობის ხელშეკრულების დადება, ხოლო მანანა სანაძემ განაცხადა, რომ იგი არის შპს „საქართველოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა უნივერსიტეტი“-ს დირექტორი, წარმოადგენს მას და სურს საზოგადოების სახელით ზემოხსენებულ ქონებაზე ნასყიდობის ხელშეკრულების შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მათი პიროვნებები და დავრწმუნდი რომ მე ნამდვილად მანანა სანაძემ (დაბადებული 1953წ.28 სექტემბერს, თბილისში, მცხოვრები ქ. თბილისი, ჩიქოვანის ქ. №9/11, პირადობის მოწმობის ნომერი №ა 0336135 პირადი №01026006411 გაცემული ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის შ.ს. მე-5 განყოფილების მიერ 27.06.01.წ.) და ნათია წითლაურმა (დაბადებულმა 24.09.1978წ. ქ. თბილისში, მცხოვრები ქ. თბილისში, ბარნოვის ქ. №56-ში, ბ-18, პირადი № 01018000527, პასპორტის № 0483750, გაცემული 16.08.1999წ. შსს-ს მიერ), მომმართეს. მე შევამოწმე ნათია წითლაურის უფლებამოსილება. იგი უფლებამოსილია წარმოადგინოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, თანახმად საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 06.02.2007.წ. ბრძანებისა, რეგისტრაციის ნომერი №1-1/223. მე შევამოწმე მხარეთა ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა.

მე დავადგინე გარიგების შინაარსი და მხარეებს განვუმარტე: ქონების შემძენი საკუთრების უფლებას იძენს საჯარო რეესტრში შემძენის რეგისტრაციით, რისთვისაც აუცილებელია საჯარო რეესტრს წარედგინოს წინამდებარე ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი, "სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" კანონის შესაბამისად გაცემული საკურების დამადასტურებელი მოწმობა. ნასყიდობის ფასის შემცირება გადასახადის ოდენობის შემცირების მიზნით ისჯება ჯარიმით საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით. თუ ამ ხელშეკრულებით იფარება სხვა გარიგება, მაშინ დავის შემთხვევაში გამოიყენება დაფარული გარიგების წესები. იმ შემთხვევაში თუ მხარეები ამცირებენ ნასყიდობის ფასს, დავისას მოსარჩელე მხარემ უნდა დაამტკიცოს ფასის შემცირების ფაქტი. ამ განმარტების შემდეგ მე შევადგინე ნასყიდობის ხელშეკრულების პროექტი, რომელიც წავუკითხე მხარეებს. მათ განაცხადეს, რომ სურთ ხელშეკრულების დადება სწორედ იმ პირობებით, რაც მითითებულია

წინამდებარე ხელშეკრულებაში; შემდეგ მხარეებმა წაიკითხეს წინამდებარე ხელშეკრულება და ჩემი თანდასწრებით მოაწერეს ხელი ხელშეკრულებას. გადახდილია საზღაური "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ" კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად: 236 ₾

თანდართული დოკუმენტაცია: საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 06.02.2007.წ. 1-1/223 ბრძანება. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამონაწერები საჯარო რეესტრიდან: – მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01/10/13/23/052 გაცემული 28.02.07წ., უფლების რეგისტრაციის №76605/2006 – 14/11/2006.; მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01/10/13/23/046, გაცემული 28.02.07.წ. უფლების რეგისტრაციის № 24643/2007-28/02/2007; მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01/10/13/23/047 გაცემული 28.02.07.წ. უფლების რეგისტრაციის №24637/2007 – 28/02/2007. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, მიერ 27.02.07წ. გაცემული ცნობა №ყად-27018 ყადაღის არარსებობის შესახებ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, მიერ 27.02.07წ. გაცემული ცნობა №ყად-27022 ყადაღის არარსებობის შესახებ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, მიერ 27.02.07წ. გაცემული ცნობა №ყად-27023 ყადაღის არარსებობის შესახებ, შპს „საქართველოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა უნივერსიტეტის"-ს ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, გაცემული 23.02.07.წ. შპს „საქართველოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა უნივერსიტეტის"-ს 2007 წლის 10 იანვრის პარტნიორთა სხდომის ოქმი № 01-01/07.

ნ ა ს ყ ი დ ო ბ ი ს ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქ. თბილისი "1" "მარტი" 2007 წელი

ჩვენ, ერთის მხრივ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, წარმოდგენილი სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის პრივატიზების სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის – ნათია წითლაურის სახით, მოქმედი საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 06.02.07.წ. 1-1/223 ბრძანებით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, (შემდგომში "გამყიდველი") და მეორეს მხრივ შპს. „საქართველოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა უნივერსიტეტი" (შემდგომში „მყიდველი"), წარმოდგენილი საზოგადოების დირექტორის – მანანა სანაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა, "სახელმწიფო

ქონების პრივატიზების შესახებ" საქართველოს კანონით; საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 24.10.06წ. №1-1/1244 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულებით"; საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 06.02.07წ. №1-1/223 ბრძანების საფუძველზე, წინამდებარე ხელშეკრულებას ვდებთ შემდეგზე

მუხლი 1. *ხელშეკრულების საგანი*

1.1. "გამყიდველი" მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე გადასცემს, ხოლო "მყიდველი" იღებს პირობადებულ საკუთრებაში ქ. თბილისში, კოსტავას ქ. №77-ში მდებარე 731 კვ.მ. მიწის ნაკვეთს და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობას, ქ. თბილისში, კოსტავას ქ. №77-ში მდებარე 587 კვ.მ. მიწის ნაკვეთს და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებს, ქ. თბილისში, კოსტავას ქ. №77-ში მდებარე 877 კვ.მ. მიწის ნაკვეთს და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობას, (შემდგომში - „ქონება").
1.2. „ქონების" გამოსასყიდი ღირებულება შეადგენს 1 320 000 (ერთი მილიონ სამასოცი ათას) აშშ დოლარის ექვივალენტურ თანხას ეროვნულ ვალუტაში.
1.3. ხელშეკრულებას თან ერთვის მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

მუხლი 2. *მხარეთა უფლება-მოვალეობანი*

2.1. "მყიდველი" ვალდებულია შეასრულოს შემდეგი სააუქციონო პირობები:

ა) გადაიხადოს საპრივატიზებო თანხა აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში;

ბ) განახორციელოს უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობა საზოგადოებრივი მეცნიერების, ჰუმანიტარული და ტექნიკური განათლების პროფილით;

გ) უზრუნველყოს მინიმუმ 120 თანამშრომლის დასაქმება (ადმინისტრაციული პერსონალი და პედაგოგები), რომელთა საშუალო ხელფასი მინიმუმ 300 (სამას) ლარს უნდა შეადგენდეს;

დ) განახორციელოს როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო პროგრამები, ხოლო სტუდენტთა კონტიგენტის საერთო რაოდენობა უნდა შეადგენდეს მინიმუმ 400 ადამიანს.

2.2. "გამყიდველი" ვალდებულია „ქონების" გამოსასყიდი ღირებულების სრულად დაფარვის შემდგომ, დაუდასტუროს "მყიდველს" საკუთრების უფლება გამოსყიდულ

ქონებაზე, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების სრულად შესრულების პირობით.

მუხლი 3. *ხელშეკრულების განსაკუთრებული პირობები*

3.1. სახელმწიფო ქონებაზე "მყიდველს" საკუთრების უფლება გადაეცემა „ქონების" გამოსასყიდი ღირებულების სრულად დაფარვის შემდგომ, შესაბამისი საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის მომენტიდან, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების სრულად შესრულების პირობით.
3.2. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ქონების ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამოსასყიდი ღირებულების სრულად დაფარვამდე მყიდველს ქონება გადაეცემა მფლობელობაში და სარგებლობაში.

მუხლი 4. მყიდველის პასუხისმგებლობა

4.1. მყიდველს შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლების დადასტურებამდე, გამყიდველთან შეთანხმების გარეშე არა აქვს უფლება გაცემული ქონება განკარგოს, გასცეს სარგებლობის უფლებით ან სხვაგვარად დატვირთოს იგი. ამასთან, იგი პასუხისმგებელია მიღებული ქონების მოვლა-პატრონობაზე და დაცვაზე.
4.2. გამყიდველის მიერ მყიდველზე საკუთრების უფლების დადასტურების შემდეგ, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, მყიდველის მიერ პრივატიზებული ქონების გასხვისების შემთხვევაში, მყიდველი ვალდებულია ქონება ახალ მესაკუთრეზე გაასხვისოს იმავე პირობებით, რაც გათვალისწინებული იყო სამინისტროსა და მყიდველს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით. ქონების გასხვისების შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს.
4.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულად ითვლება გამყიდველის მიერ მათი დადასტურების მომენტიდან.
4.4. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მყიდველი იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობა. პირგასამტეხლო განისაზღვრება:
ა) თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, გადაუხდელი თანხის 0,1% დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;
ბ) საინვესტიციო ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დარჩენილი განსახორციელებელი ინვესტიციის 0.1% დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;
4.5.ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების განმეორებით შეუსრულებლობის შემთხვევა და დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა გამყიდველის მიერ განიხილება ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის საფუძვლად.
4.6. მყიდველს, „ქონების" გამოსასყიდი ღირებულების გადახდის ვადის დარღვევისა და დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს შეუსრულებლობის

შემთხვევაში – არ გადაეცემა საკუთრების უფლება ქონებაზე და შეტანილი "ბე" არ დაუბრუნდება.

მუხლი 5. *სხვა დებულებანი*

5.1. წინამდებარე ხელშეკრულების 2.1 მუხლის შეუსრულებლობის შემთხვევაში მყიდველს არ უბრუნდება გადახდილი თანხები და დანახარჯები.
5.2. დასაშვებია მხარეთა დამატებითი შეთანხმებები. ასეთ შემთხვევაში შეთანხმება ფორმდება წერილობითი ფორმით.
5.3. "მყიდველის" მიერ გადახდილი "ბე" ჩაითვლება ანგარიშსწორებისას.
5.4. ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებისათვის და ამისათვის აუცილებელი საბუთების წარდგენის ხარჯები იფარება "მყიდველის" მიერ.
5.5. ხელშეკრულებიდან წარმოშობილი სადავო საკითხები განიხილება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
5.6. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი სანოტარო წესით დადასტურების მომენტიდან.
5.7. ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივი და ქონებრივი შედეგები განისაზღვრება შესაბამისი კანონმდებლობით.
5.8. ხელშეკრულება შედგენილია 5 (ხუთი) ეგზემპლარად და თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

"გამყიდველი"	**"მყიდველი"**
საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო	შპს „საქართველოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა უნივერსიტეტი
ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ.№12	ქ. თბილისი, კოსტავას №77
ხაზინის ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო №200122900 ეროვნული ბანკის კოდი 220101107 სახაზინო კოდი 302003169	
ნათია წითლაური	**მანანა სანაძე**
ნათია წითლაური	მანანა სანაძე

ნოტარიუსი: **ც. ბერიძე**

6

09.02.07წ

მ ი ღ ე ბ ა - ჩ ა ბ ა რ ე ბ ი ს
ა ქ ტ ი

ერთის მხრივ ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, წარმოდგენილი პრივატიზების ორგანიზების სამმართველოს უფროსი სპეციალისტის ლევან ლორთქიფანიძის სახით (საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 06.02.07წ. №1-1/223 ბრძანებით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე) და მეორეს მხრივ შპს "საქართველოს საზოგადოებრივი მეცნიერებათა უნივერსიტეტი", საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 06.02.07წ. №1-1/223 ბრძანების საფუძველზე ვაფორმებთ მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ პირველი მხარე გადასცემს ხოლო მეორე მხარე იბარებს ქ. თბილისში, კოსტავას ქ. №77-ში მდებარე 731 კვ.მ მიწის ნაკვეთის (სარეგისტრაციო №01/10/13/23/052) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის, კოსტავას ქ. №77-ში მდებარე 587 კვ.მ მიწის ნაკვეთის (მიწის სარეგისტრაციო №01/1013/23/046) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების და კოსტავას ქ. №77-ში მდებარე 877 კვ.მ მიწის ნაკვეთის (მიწის სარეგისტრაციო №01/10/13/23/047) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების საერთო ღირებულებით 1 320 000 აშშ დოლარი.

გადამცემი: *ლ. ლორთქიფანიძე*

მიმღები: *შპს "საქ.საზოგ.მეც.უნივერსიტეტი"*

სანოტარო აქტი

საქართველო

რეგისტრირებულია რეესტრში: L-10053

ორიათას შვიდი წლის 24 აგვისტოს მე, ციური ბერიძეს, ქ. თბილისის ნოტარიუსს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ.№68, პირველ სართულზე, მომმართეს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ და შ.პ.ს „საქართველოს საზოგადოებრივი მეცნიერებათა უნივერსიტეტმა", მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების გიორგი ქუთათელაძისა და მანანა სანაძის სახით. გიორგი ქუთათელაძემ განაცხადა, რომ იგი წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს სპეციალისტს, მოქმედებს სამინისტროს სახელით და შესაბამისი მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში სურს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონებაზე, კერძოდ ქ. თბილისში, კოსტავას ქ. №77-ში მდებარე სპორტული მოედნების და მათზე დამაგრებულ 9273კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) სარეგისტრაციო კოდი №01/10/13/23/057, ნასყიდობის ხელშეკრულების დადება, ხოლო მანანა სანაძემ განაცხადა, რომ იგი არის შპს „საქართველოს საზოგადოებრივი მეცნიერებათა უნივერსიტეტმა" აღმასრულებელი დირექტორი და სურს ზემოხსენებული ქონების შეძენა, შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულების შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მათი პიროვნება და დავრწმუნდი რომ მე ნამდვილად მანანა სანაძემ (დაბადებული 28.09.1953.წ. თბილისში, მცხოვრები ქ. თბილისში, ჩიქოვანის ქ.№9/11 . პირადობის მოწმობა №ა 0336135, პირადი №01026006411 გაცემული 29.05.2001 წელს თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის შ.ს. მე-5 განყოფილების მიერ.) და გიორგი ქუთათელაძე (დაბადებულმა 23.09.1980წ. ქ. თბილისში, მცხოვრები ქ. თბილისში, ნუცუბიძის ქ. №77ბ,ბინა №34, პირადი № 01009010861, პირადობის მოწმობის ნომერი №ბ 0870914, გაცემული 10.03.2006წ. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ვაკის სამსახურის მიერ), მომმართეს. მე შევამოწმე გიორგი ქუთათელაძის უფლებამოსილება, იგი უფლებამოსილია წარმოადგინოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, თანახმად მინისტრის №21/643 24.08.07.წ. მინდობილობისა. მე შევამოწმე მხარეთა ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა.

მე დავადგინე გარიგების შინაარსი და მხარეებს განვუმარტე: ქონების შემძენი საკუთრების უფლებას იძენს საჯარო რეესტრში შემძენის რეგისტრაციით, რისთვისაც აუცილებელია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს წარედგინოს წინამდებარე ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი, "სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" კანონის შესაბამისად გაცემული საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა. ნასყიდობის ფასის შემცირება გადასახადის ოდენობის შემცირების მიზნით ისჯება ჯარიმით საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით. თუ ამ ხელშეკრულებით იფარება სხვა გარიგება, მაშინ დავის შემთხვევაში გამოიყენება დაფარული გარიგების წესები. იმ შემთხვევაში თუ მხარეები ამცირებენ ნასყიდობის ფასს, დავისას მოსარჩელე მხარემ უნდა დაამტკიცოს ფასის შემცირების ფაქტი. ამ განმარტების შემდეგ მე შევადგინე ნასყიდობის ხელშეკრულების პროექტი, რომელიც წავუკითხე მხარეებს. მათ განაცხადეს, რომ სურთ ხელშეკრულების დადება სწორედ იმ პირობებით, რაც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში; შემდეგ მხარეებმა წაიკითხეს წინამდებარე ხელშეკრულება და ჩემი თანდასწრებით მოაწერეს ხელი ხელშეკრულებას.

გადახდილია საზღაური "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ" კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად: 236 ₾

თანდართული დოკუმენტაცია: საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის №21/643 24.08.07წ. მინდობილობა გ. ქუთათელაძის სახელზე; შ.პ.ს „ საქართველოს საზოგადოებრივი მეცნიერებათა უნივერსიტეტმა" 24.08.07 წლის ამონაწერი სამეწრმეო რეესტრიდან; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამონაწერები საჯარო რეესტრიდან: მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01/10/13/23/057 გაცემული 23.08.07წ;

ნ ა ს ყ ი დ ო ბ ი ს ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქ. თბილისი. **24 აგვისტო 2007.წ**

ჩვენ, ერთის მხრივ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო (შემდგომში "გამყიდველი"), იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს სპეციალისტის გიორგი ქუთათელაძის სახით, მოქმედი საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 24.08.07წ. №21/643 მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, და მეორეს მხრივ შპს „საქართველოს საზოგადოებრივი მეცნიერებათა უნივერსიტეტმა ", (შემდგომში "მყიდველი"), წარმოდგენილი შ.პ.ს დირექტორის – მანანა სანაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა, "სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" საქართველოს კანონით; საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 24.10.06წ. №1-1/1244 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულებით"; საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 21.08.07.წ. №1-1/1273 ბრძანების საფუძველზე, წინამდებარე ხელშეკრულებას ვდებთ შემდეგზე:

მუხლი 1. *ხელშეკრულების საგანი*

1.1. "გამყიდველი" მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე გადასცემს, ხოლო "მყიდველი" იღებს პირობადებულ საკუთრებაში ქ. თბილისში, კოსტავას ქ. №77-ში მდებარე სპორტული მოედნების და მათზე დამაგრებულ 9273კვ.მ. მიწის ნაკვეთს (მიწის (უძრავი ქონების) სარეგისტრაციო კოდი №01/10/13/23/057, შემდგომში „ქონება".

1.2. „ქონების" გამოსასყიდი ღირებულება შეადგენს – 305 000 (სამასხუთი ათას) აშშ დოლარის ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში, გადახდის დღისათვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის შესაბამისად.

1.3. ხელშეკრულებას თან ერთვის მიღება–ჩაბარების აქტი, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

მუხლი 2. მხარეთა უფლება - მოვალეობანი

2.1 "მყიდველი" ვალდებულია:

ა) საპრივატიზებო თანხა გადაიხადოს აუქციონის შედეგების დამტკიცებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

ბ) უზრუნველყოს საპრივატიზებო ობიექტის საგანმანათლებლო-სასწავლო, სპორტული პროფილით ფუნქციონირება 10 წლის განმავლობაში.

2.2. "გამყიდველი" ვალდებულია "მყიდველის" მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო თანხების სრულად დაფარვის შემდეგ დაუდასტუროს საკუთრების უფლება, მის მიერ გამოსყიდულ ქონებაზე, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების სრულად შესრულების პირობით.

მუხლი 3. ხელშეკრულების განსაკუთრებული პირობები

3.1 სახელმწიფო ქონებაზე "მყიდველს" საკუთრების უფლება გადაეცემა „ქონების" გამოსასყიდი ღირებულების სრულად დაფარვის შემდგომ, შესაბამისი საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის მომენტიდან, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების სრულად შესრულების პირობით.
3.2. „მყიდველის" მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების სრულად შესრულებამდე „მყიდველს" „გამყიდველთან" შეთანხმების გარეშე არა აქვს უფლება გაყიდოს, გაცვალოს, გააქირაოს იჯარით გასცეს, გირაოში ჩადოს გადაცემული ქონება.

მუხლი 4. მყიდველის პასუხისმგებლობა

4.1. მყიდველს შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლების დადასტურებამდე, გამყიდველთან შეთანხმების გარეშე არა აქვს უფლება გაცემული ქონება განკარგოს, გასცეს სარგებლობის უფლებით ან სხვაგვარად დატვირთოს იგი. ამასთან, იგი პასუხისმგებელია მიღებული ქონების მოვლა-პატრონობაზე და დაცვაზე.
4.2. გამყიდველის მიერ მყიდველზე საკუთრების უფლების დადასტურების შემდეგ, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, მყიდველის მიერ პრივატიზებული ქონების გასხვისების შემთხვევაში, მყიდველი ვალდებულია ქონება ახალ მესაკუთრეზე გაასხვისოს იმავე პირობებით, რაც გათვალისწინებული იყო სამინისტროსა და მყიდველს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით. ქონების გასხვისების შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს.
4.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულად ითვლება გამყიდველის მიერ მათი დადასტურების მომენტიდან.
4.4. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მყიდველი იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობა. პირგასამტეხლო განისაზღვრება:
ა) თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, გადაუხდელი თანხის 0,1% დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;
ბ) სხვა ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს პირგასამტეხლო განესაზღვრება გამოსასყიდი ქონების სრული ღირებულების 0,1% ოდენობით, ყოველი დარღვეული დღისათვის.
4.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების განმეორებით შეუსრულებლობის შემთხვევა და დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა გამყიდველის მიერ განიხილება ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის საფუძვლად.
4.6. მყიდველს, „ქონების" გამოსასყიდი ღირებულების გადახდის ვადის დარღვევისა და დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს შეუსრულებლობის შემთხვევაში – არ გადაეცემა საკუთრების უფლება ქონებაზე და შეტანილი "ბე" არ დაუბრუნდება.
4.7. „მყიდველი" ვალდებულია „ქონებაზე" საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის შემდეგ, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, დაიცვას ხელშეკრულებით ნაკისრი პირობები და მათ შესრულებაზე გამყიდველის წარუდგინოს ინფორმაცია 6 თვეში ერთხელ.

მუხლი 5. სხვა დებულებანი

5.1. წინამდებარე ხელშეკრულების 2.1. მუხლის შეუსრულებლობის შემთხვევაში მყიდველს არ უბრუნდება გადახდილი თანხები და არ უნაზღაურდება მის მიერ გაწეული დანახარჯები.

5.2 დასაშვებია მხარეთა დამატებითი შეთანხმებები, ასეთ შემთხვევაში შეთანხმება ფორმდება წერილობითი ფორმით.

5.3 ხელშეკრულებიდან წარმოშობილი სადავო საკითხები განიხილება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

5.4. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი სანოტარო წესით დადასტურების მომენტიდან. სანოტარო წესით დამოწმებისათვის საჭირო ხარჯები იფარება „მყიდველების" მიერ.

5.5. ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივი და ქონებრივი შედეგები განისაზღვრება შესაბამისი კანონმდებლობით.

5.6. ხელშეკრულება შედგენილია 5 (ხუთი) ეგზემპლარად და თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

"გამყიდველი"	**"მყიდველი"**
საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო	შპს„საქართველოს საზოგადოებრივი მეცნიერებათა უნივერსიტეტმა "
ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ.№12	
ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ძველი თბილისი) 200122900	ქ.თბილისი, კოსტავას ქ.№77
სახელმწიფო ხაზინა 220101222	
სახაზინო კოდი 300033170	
გიორგი ქუთათელაძე	*მანანა სანაძე*

ქ. თბილისის ნოტარიუსი **ც. ბერიძე**

23.08.07წ

მ ი ღ ე ბ ა - ჩ ა ბ ა რ ე ბ ი ს
ა ქ ტ ი

ერთის მხრივ ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, წარმოდგენილი პრივატიზების ორგანიზების სამმართველოს მთავარი სპეციალისტის ლევან ლორთქიფანიძის სახით (საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 21.08.07წ. №1-1/1273 ბრძანებით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე) და მეორეს მხრივ შპს "საქართველოს საზოგადოებრივი მეცნიერებათა უნივერსიტეტი", საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 21.08.07წ. №1-1/1273 ბრძანების საფუძველზე ვაფორმებთ მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ პირველი მხარე გადასცემს ხოლო მეორე მხარე იბარებს ქ. თბილისში, კოსტავას ქ. №77-ში მდებარე სპორტული მოედნებს და მათზე დამაგრებული 9273 კვ.მ. მიწის ნაკვეთი საერთო ღირებულებით 305 000 აშშ დოლარი.

გადამცემი: *ლ. ლორთქიფანიძე*

მიმღები: *შპს "საქ.საზოგ.მეც.უნივერსიტეტი"*

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს (ტერიტორიული ორგანო) აუქციონის მომწყობი კომისია

პირობებით გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვების

დამადასტურებელი ოქმი №28ა

"25" "ივნისი" 2008 წ. **ქ. თბილისი**

1. წინამდებარე ოქმი (ხელშეკრულება) გაიცა შპს „საქართველოს უნივერსიტეტზე" (მდებარე ქ. თბილისი, კოსტავას 77ა, წარმოდგენილი აღმასრულებელი დირექტორის მანანა სანაძის სახით, მის. თბილისი, ჩიქოვანის ქ. №9/11, პ/მ № ა0336135, პირადი №01026006411, გაც. 27.06.2001წ.)

აუქცონში გამარჯვებულის (მყიდველის) ფიზიკური პირის სახელი, გვარი/ იურიდიული პირის სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმა, სახელწოდება და წარმომადგენლის სახელი გვარი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, მისამართი და მაინდენტიფიცირებელი დოკუმენტების მონაცემები:

2. მასზედ, რომ "სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად სახელმწიფო ქონების - ქ. თბილისში, კოსტავას ქ. №77-ში მდებარე შენობა-ნაგებობა (მშენებარე) და მასზე დამაგრებული 5059 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, საჯარო რეესტრის ამონაწერი - მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.10.13.023.079, განცხადების რეგისტრაცია №882008133615 – 07.05.2008, მომზადების თარიღი 07.05.2008წ.
(ქონების დასახელება, მისამართი (მონაცემები საჯარო რეესტრი ან და სამეწარმეო რეესტრიდან)

ქონების საწყისი ფასი 2 000 000 (ორი მილიონი)
აშშ დოლარის ექვ. ლარებში აშშ დოლარის ექვ. ლარებში

ციფრებით სიტყვიერად

3. შემდგომში პრივატიზების მიზნით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს (ტერიტორიული ორგანო) საუქციონო კომისიის მიერ 2008 წლის "25" "ივნისს" მოწყობილ აუქციონზე მის მიერ

შემოთავაზებული ფასის 2 050 000 (ორი მილიონ ორმოცდაათი ათასი)
აშშ დოლარის ექვ. ლარებში აშშ დოლარის ექვ. ლარებში

ციფრებით სიტყვიერად

საფუძველზე ის გამოვლინდა გამარჯვებულად (შემდგომში მყიდველი) და მას "სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად ოქმით (ხელშეკრულებით) ნაკისრი

ვალდებულებების შესრულების პირობით, საკუთრებაში გადაეცა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული

ქ. თბილისში, კოსტავას ქ. №77-ში მდებარე შენობა-ნაგებობა (მშენებარე) და მასზე დამაგრებული 5059 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, საჯარო რეესტრის ამონაწერი - მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.10.13.023.079, განცხადების რეგისტრაცია №882008133615 – 07.05.2008, მომზადების თარიღი 07.05.2008წ.

(ქონების დასახელება, მისამართი, მონაცემები მონაცემები საჯარო რეესტრის ან/ და სამეწარმეო რეესტრის ამონაწერიდან მათ შორის ინფორმაცია უძრავი ქონების დატვირთვის თაობაზე) ------- შემდგომში ქონება

4. მყიდველი ვალდებულია აუქციონზე შეძენილი ქონების ფასი (საბოლოო თანხა) გადაიხადოს აუქციონის პირობებით გათვალისწინებულ ვადაში

შემდეგ საბანკო ანგარიშზე №200122900, მიმღები: ერთიანი ანგარიშის სხვა შემოსულობები (თბილისი); მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი 220101222, სახაზინო კოდი 300773309.

5. მყიდველს გადახდილი ბე ეთვლება ანგარიშწორებისას

6. მყიდველი ვალდებულია დაიცვას, დათქმულ ვადაში და ჯეროვნად შეასრულოს შემდეგი პირობები:
– საპრივატიზებო თანხის გადახდა აუქციონის ჩატარებიდან ერთი წლის განმავლობაში შემდეგი გრაფიკით: 2008 წლის 30 სექტემბრამდე საპრივატიზებო თანხის 25%, 2008 წლის 30 დეკემბრამდე საპრივატიზებო თანხის 25%, 2009 წლის 30 მარტამდე საპრივატიზებო თანხის 25%, ხოლო დარჩენილი თანხა 2009 წლის 30 ივნისამდე.
– მყიდველი ვალდებულია, უზრუნველყოს ობიექტის საგანმანათლებლო პროფილით ფუნქციონირება 15 წლის განმავლობაში.
– მყიდველი ვალდებულია, ოქმით (ხელშეკრულებით) ნაკისრი ვალდებულებების (აუქციონის პირობები) შესრულებაზე გამყიდველის მოთხოვნისთანავე და 6 თვეში ერთხელ წარუდგინოს ინფორმაცია გამყიდველს.

7. მყიდველს გადაცემულ ქონებაზე საკუთრების უფლების დადასტურებამდე, გამყიდველთან შეთანხმების გარეშე არა აქვს უფლება განკარგოს, გასცეს სარგებლობის უფლებით ან სხვაგვარად დატვირთოს იგი. ამასთან, იგი პასუხისმგებელია მიღებული ქონების მოვლა-პატრონობაზე და დაცვაზე.

8. გამყიდველის მიერ მყიდველზე საკუთრების უფლების დადასტურების შემდეგ, ოქმის (ხელშეკრულების) მოქმედების პერიოდში, მყიდველის მიერ გადაცემული ქონების გასხვისების შემთხვევაში, მყიდველი ვალდებულია ქონება ახალ მესაკუთრეზე გაასხვისოს იმავე პირობებით, რაც გათვალისწინებული იყო ოქმით (ხელშეკრულებით). ქონების გასხვისების შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს გამყიდველს.

9. ოქმით (ხელშეკრულებით) ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულად ითვლება გამყიდველის მიერ მათი დადასტურების მომენტიდან.

10. ოქმით (ხელშეკრულებით) ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მყიდველი იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობა.

ა) თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, გადაუხდელი თანხის 0,1% დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

ბ) საინვესტიციო ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დარჩენილი განსახორციელებელი ინვესტიციის 0.1% დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

გ) მყიდველის მიერ ოქმის (ხელშეკრულების) სხვა პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში პირგასამტეხლოს ოდენობა შეადგენს ყოველ დარღვევაზე ქონების ღირებულების 0,05%

11. ოქმით (ხელშეკრულებით) გათვალისწინებული პირობების განმეორებით შეუსრულებლობის შემთხვევა და დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა გამყიდვლის მიერ განიხილება აუქციონის შედეგების (ოქმის) გაუქმების საფუძვლად.

12. მყიდველის მიერ საბოლოო თანხის დადგენილ ვადაში სრულად გადახდის შემდეგ მასზე გაიცემა საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით.

13 სახელმწიფო ქონების პრივატიზებისას მყიდველზე საკუთრების უფლება გადადის თანხის მთლიანად გადახდის, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის და საჯარო რეესტრში ან შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის შემდეგ. ხოლო იმ შემთხვევაში თუ მყიდველმა უნდა შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები მყიდველს საკუთრების უფლება ეძლევა ნაკისრი ვალდებულების შერულების პირობით.

14. ოქმიდან (ხელშეკრულებიდან) წარმოშობილი სადავო საკითხები განიხილება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15. ოქმი (ხელშეკრულება) შედგენილია ქართულ ენაზე 3 (სამი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად ერთი რჩება გამყიდველს ხოლო ორი გადაეცემა მყიდველს.

16 მყიდველი ადასტურებს, რომ გაეცნო და ეთანხმება ოქმის შინაარსს, და სრული ნებაყოფლობის საფუძველზე ხელს აწერს წინამდებარე ოქმს.

17. ოქმს, რომელიც გამყიდველთან რჩება თან ერთვის:

ა) ამონაწერი საჯარო ან სამეწარმეო რეესტრიდან

ბ) იმ შემთხვევაში თუ მყიდველი იურიდიული პირია ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, წესდება და წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება.

გ) იმ შემთხვევაში თუ მყიდველი მოქმედებს წარმომადგენილის მეშვეობით
წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი

კომისიის თავმჯდომარე / ---------- / ----------/-
ხელმოწერა სახელი გვარი

აუქციონში გამარჯვებული პირი (მყიდველი) / ----------
ხელმოწერა სახელი გვარი

---------- ბეჭდის ადგილი

საგადასახადო დავალება N0
Payment Order N1
28.02.2007

რეფ.#/Ref# 9436580

გადამხდელის დასახელება: Sender's Name: ა/ა შპს "საქართველოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა უნივერსიტეტი", 205037137 გადამხდელის ანგარიში: 8136077 Sender's Account: გადამხდელის ბანკი/Sender's Bank: ს.ს. "ბაზისბანკი" ბანკის კოდი/Bank Code: 220101956	თანხა/Amount **2 038 470.00** თანხა სიტყვიერად/Amount in Words ორი მილიონ ოცდათვრამეტი ათას ოთხას სამოცდაათი ლარი და 00 თეთრი
ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა Information on person on behalf of whom the payment is made დასახელება: Payer's Name: საიდენტიფიკაციო კოდი/პირადი ნომერი/Payer's ID	
მიმღების დასახელება: Receiver's Name: ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში (სახელმწიფო ბიუჯეტის ცენტრალიზებული შემოსულობები) მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: 200122900 Receiver's Account/Treasury Code: მიმღების ბანკი/ხაზინა: Receiver's Bank/Treasury: ქ.თბილისი,"საქართველოს ეროვნული ბანკი" ბანკის კოდი/Bank Code: 220101107	ბანკის აღნიშვნები/Remarks of the Bank ბანკში შემოსვლის თარიღი Date of receipt to the bank 28.02.2007 გატარებულია ბანკის მიერ Date of accounting by the bank 28.02.2007
გადახდის დანიშნულება: Details of Payment: აუქციონზე შეძენილი ქონების გამოსასყიდი თანხის ნაწილი	ხელმოწერა/Signature ---------- დამოწმებულია ინტერნეტ/მობაილ ბანკით ბაზისბანკი BASISBANK CBASGE22 CONFIRMED VIA INTERNET/MOBILE BANK
დამატებითი ინფორმაცია: 1190000 ა.შ.შ.-ის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში კურსით_1.713 Additional Info:	
ხელმოწერები Signatures გ.ა Stamp	

საგადასახადო დავალება N0
Payment Order N1
26.01.2007

რეფ.#/Ref# 9031106

გადამხდელის დასახელება: Sender's Name: ა/ა შპს "საქართველოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა უნივერსიტეტი", 205037137	თანხა/Amount **223 275.00** თანხა სიტყვიერად/Amount in Words ორას ოცდასამი ათას ორას სამოცდათხუთმეტი ლარი და 00 თეთრი
გადამხდელის ანგარიში: 8136077 Sender's Account: გადამხდელის ბანკი/Sender's Bank: ს.ს. "ბაზისბანკი" ბანკის კოდი/Bank Code: 220101956	
ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა Information on person on behalf of whom the payment is made დასახელება: Payer's Name: საიდენტიფიკაციო კოდი/პირადი ნომერი/Payer's ID	
მიმღების დასახელება: Receiver's Name: ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში (სახელმწიფო ბიუჯეტის ცენტრალიზებული შემოსულობები), 206160606	ბანკის აღნიშვნები/Remarks of the Bank ბანკში შემოსვლის თარიღი Date of receipt to the bank 26.01.2007
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: 200122900 Receiver's Account/Treasury Code: მიმღების ბანკი/ხაზინა: Receiver's Bank/Treasury: ქ.თბილისი,"საქართველოს ეროვნული ბანკი" ~~ბანკის კოდი/Bank Code:~~ 220101107	გატარებულია ბანკის მიერ Date of accounting by the bank 26.01.2007
გადახდის დანიშნულება: სხვა დეპოზიტები Details of Payment:	ხელმოწერა/Signature ----------
დამატებითი ინფორმაცია: Additional Info: 130 000 ა.შ.შ. დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში (კურსი 1$ =1.7175 ლ.) აუქციონზე მონაწილეობის "ბე"	დამოწმებულია ინტერნეტ/მობაილ ბანკით ბაზისბანკი BASISBANK CBASGE22 CONFIRMED VIA INTERNET/MOBILE BANK
ხელმოწერები Signatures ბ.ა Stamp	

ლიბერთი ბანკი

საგადახდო დავალება # 1

1

LB-00004246251

GEL

457050.00

თანხა სიტყვიერად

ოთხასორმოცდაჩვიდმეტიათას ორმოცდაათი ლარი

თარიღი 2007 წლის 5 სექტემბერი

გადამხდელის დასახელება: შპს"საქართველოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა უნივერსიტეტი" - 205037137

გადამხდელის ანგარიში 360814947

გადამხდელის ბანკი: *სს "ლიბერთი ბანკი"* ბანკის კოდი LBRTGE22

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა

დასახელება: შპს"საქართველოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა უნივერსიტეტი"

საიდენტიფიკაციო კოდი/ პირადი ნომერი: 205037137

მიმღები დასახელება: *ხაზინის ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტრალიზირებული შემოსულობები)*

მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: 302003000

მიმღების ბანკი/ხაზინა *ქ.თბილისი, სახელმწიფო ხაზინა* ბანკის კოდი 220101222

საიდენტიფიკაციო კოდი:

გადახდის დანიშნულება: *აუქციონზე შეძენილი ქონების გადასახადი 275000 USD კურსი: 1.6620*

დამატებითი ინფორმაცია:

ხელმოწერა:

ბ.ა.

ბანკის აღნიშვნები

შესრულების თარიღი: 5.09.2007

ბანკში შემოსვლის თარიღი: 5.09.2007

ხელმოწერა:

შტამპის ადგილი

ლიბერთი ბანკი LB
თბილისი 3440-საგადასახადო
ID 379
LBRTGE22
ბ ნ ი

ლიბერთი ბანკი

საგადახდო დავალება # 1

1

LB-00004030350

თარიღი 2007 წლის 19 ივლისი

GEL
49965.00
თანხა სიტყვიერად

ორმოცდაცხრაათას ცხრაასსამოცდახუთი ლარი

გადამხდელის დასახელება: შპს"საქართველოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა უნივერსიტეტი" - 205037137

გადამხდელის ანგარიში 360814947

გადამხდელის ბანკი: *სს "ლიბერთი ბანკი"* ბანკის კოდი LBRTGE22

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა

დასახელება: შპს"საქართველოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა უნივერსიტეტი"

საიდენტიფიკაციო კოდი/ პირადი ნომერი: 205037137

ბანკის აღნიშვნები

მიმღები დასახელება: *ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო ცენტრალიზებული შემოსულობები*

შესრულების თარიღი: 19.07.2007

მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: 302003000

მიმღების ბანკი/ხაზინა *ქ.თბილისი, სახელმწიფო ხაზინა* ბანკის კოდი 220101222

ბანკში შემოსვლის თარიღი: 19.07.2007

საიდენტიფიკაციო კოდი:

გადახდის დანიშნულება: *აუქციონზე წინწსწარი შენატანი 30000 USD კურსი 16655*

დამატებითი ინფორმაცია:

ხელმოწერა: _____

ხელმოწერა: _____

_____ ბ.ა.

შტამპის ადგილი

ლიბერთი ბანკი LB
თბილისი ბანკი-სალარო
19.07.07
LBRTGE22
ბ ა ნ კ ი

საგადასახადო დავალება N0
Payment Order N1
20.06.2008

რეფ.#/Ref# 17164460

გადამხდელის დასახელება: ა/ა შპს "საქართველოს უნივერსიტეტი", 205037137 Sender's Name:	თანხა/Amount
გადამხდელის ანგარიში: 8136077 Sender's Account:	**284 200.00**
გადამხდელის ბანკი/Sender's Bank: ქ.თბილისი,სს"ბაზისბანკი" ბანკის კოდი/Bank Code: 220101956	თანხა სიტყვიერად/Amount in Words ორას ოთხმოცდაოთხი ათას ორასი ლარი და 00 თეთრი
ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა Information on person on behalf of whom the payment is made დასახელება: ა/ა შპს "საქართველოს უნივერსიტეტი" Payer's Name: საიდენტიფიკაციო კოდი/პირადი ნომერი/Payer's ID 205037137	
მიმღების დასახელება: Receiver's Name: ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში (სახელმწიფო ბიუჯეტის ცენტრალიზებული შემოსულობები)	ბანკის აღნიშვნები/Remarks of the Bank
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: 302003000 Receiver's Account/Treasury Code:	ბანკში შემოსვლის თარიღი Date of receipt to the bank 20.06.2008
მიმღების ბანკი/ხაზინა: ბანკის კოდი/Bank Code: 220101222 Receiver's Bank/Treasury: სახელმწიფო ხაზინა	გატარებულია ბანკის მიერ Date of accounting by the bank 20.06.2008
გადახდის დანიშნულება: სხვა დეპოზიტები Details of Payment:	ხელმოწერა/Signature ----------
დამატებითი ინფორმაცია: "ბე" 200000 აშშ დოლარის ეკვივალენტი კურსი 1.4210 Additional Info:	დამოწმებულია ინტერნეტ/მობაილ ბანკით ბაზისბანკი BASISBANK CBASGE22 CONFIRMED VIA INTERNET/MOBILE BANK
ხელმოწერები Signatures ბ.ა Stamp	

საგადასახადო დავალება N0
Payment Order N1
08.07.2009

რეფ.#/Ref# 23665326

გადამხდელის დასახელება: ა/ა შპს "საქართველოს უნივერსიტეტი", 205037137 Sender's Name: გადამხდელის ანგარიში: 8136077 Sender's Account: გადამხდელის ბანკი/Sender's Bank: "ბაზისბანკი" სათაო ბანკის კოდი/Bank Code: 220101956	თანხა/Amount **996 900.00** თანხა სიტყვიერად/Amount in Words ცხრაას ოთხმოცდათექვსმეტი ათას ცხრაასი ლარი და 00 თეთრი
ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა Information on person on behalf of whom the payment is made დასახელება: ა/ა შპს "საქართველოს უნივერსიტეტი" Payer's Name: საიდენტიფიკაციო კოდი/პირადი ნომერი/Payer's ID 205037137	
მიმღების დასახელება: Receiver's Name: ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში (სახელმწიფო ბიუჯეტის ცენტრალიზებული შემოსულობები), 206160606 მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: 302003307 Receiver's Account/Treasury Code: მიმღების ბანკი/ხაზინა: ბანკის კოდი/Bank Code: 220101222 Receiver's Bank/Treasury: ქ.თბილისი, "სახელმწიფო ხაზინა"	ბანკის აღნიშვნები/Remarks of the Bank ბანკში შემოსვლის თარიღი Date of receipt to the bank 08.07.2009 გატარებულია ბანკის მიერ Date of accounting by the bank 08.07.2009
გადახდის დანიშნულება: Details of Payment: შემოსულობა საერთო - სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის არასაცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან	ხელმოწერა/Signature ---------- დამოწმებულია ინტერნეტ/მობაილ ბანკით ბაზისბანკი BASISBANK CBASGE22 CONFIRMED VIA INTERNET/MOBILE BANK
დამატებითი ინფორმაცია: Additional Info: აუქციონზე შესყიდული შენიბის საფასურის ნაწილი 600000 აშშ დოლარის ეკვ. (მის. კოსტავას 77) სხვა დეპოზიტები	
ხელმოწერები Signatures ბ.ა Stamp	

ასლი

საგადახდო დავალება № 1

07/06/2010 წელი

ბანკი ქართუ CARTU BANK

139012894

გადამხდელის დასახელება	შპს "საქართველოს უნივერსიტეტი" (ყოფ. საქართველოს საზოგადოებრივ		
	ანგარიში (დებეტი)	GE36CR0000000010413602	
გადამხდელის ბანკი	ქ.თბილისი, სს "ბანკი ქართუ"	ბანკის კოდი	220101081

ივსება მხოლოდ სახელმწიფო ხაზინაში გადახდების დროს

გადასახადის გადამხდელის დასახელება	შპს "საქართველოს უნივერსიტეტი" (ყოფ. საქართველოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა უნივერსიტეტი)		
გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო კოდი	205037137	ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდი	302003307
მიმღების დასახელება	ხაზინის ერთიანი ანგარიში; სხვა შემოსულობები (სახელმწიფო ბიუჯეტის		
	ანგარიში (კრედიტი)	302003307	
მიმღების ბანკი	ქ.თბილისი, "სახელმწიფო ხაზინა"	ბანკის კოდი	220101222

თანხა	2,303,875.00
თანხა სიტყვიერად	ორი მილიონ სამას სამი ათას რვაას სამოცდათხუთმეტი ლარი 00 თეთრი

გადახდის დანიშნულება:

შემოსულობა საერთო - სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის არასაცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან

დამატებითი ინფორმაცია:

აუქციონზე შესყიდული შენობის საფასური 1.250,000 აშშ დოლარის ექვ. ერ. ბანკის კურსით-1.8431 (მის. კოსტავას 77)

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი: 07/06/2010

გატარებულია ბანკის მიერ: 07/06/2010

ხელმოწერები: ბ.ა.

ბანკი ქართუ CARTU BANK "ბანკი ქართუ" JSC Cartu Bank საბურთალოს სერვის ცენტრი • SABURTALO SERVICE CENTRE საოპერაციო განყოფილება • Operation Department CRTUGE22

შტამპის ადგილი

წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერით ვადასტურებ და თანხმობას ვაცხადებ, რომ სანაცვლო მომსახურების მიზნით, ბანკმა განახორციელოს ჩემს შესახებ არსებული პერსონალური მონაცემების დამუშავება (რაც ასევე გულისხმობს ინფორმაციის მესამე პირებისთვის გადაცემას ანდა მათგან ინფორმაციის გამოთხოვას კანონმდებლობით დადგენილი წესით)

ხელმოწერით ვადასტურებ, რომ გავეცანი მომსახურების სტანდარტულ ტარიფებს და მათი გამოთვლის წესს. მომსახურების საკომისიო 0 GEL